გადაწყვეტილება

N გ-22-10/299
07/07/2022

299-გ-22-1-4-202207071354

საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10 / 231 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10/231 გადაწყვეტილებით გამოცხადდა კონკურსი საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
გ) ლიცენზიის ქვესახეობა: სპეციალიზებული მაუწყებლობა;
დ) გავრცელების გეოგრაფიული ზონა: საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3;
ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე–ღამის განმავლობაში - 18 საათი;
ვ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია და ტექნიკური პარამეტრები:

№	სამაუწყებლო ზონა/პუნქტი		FM სამაუწყებლო გადამცემის მახასიათებლები					გადამცემი ანტენის მახასიათებლები				
	საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა	გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	საარხო ზოლის სიგანე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)	გასხივება	აზიმუტი (გრდ)
1	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	ბარისახო	88.9	0.3	FM	V	100	42°28'34.00"N 44°55'26.00"E	15	5	წრიული	_
2	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	დუშეთი	88.3	0.3	FM	V	100	42° 0'5.69"N 44°39'21.70"E	20	5	მიმართული	30
3	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	თიანეთი	89.9	0.3	FM	V	200	42° 6'7.30"N 44°56'54.70"E	20	5	წრიული	_
4	ზონა 3 - მცხეთა მთიანეთი	ფასანაური	88.9	0.3	FM	V	100	42°20'39.09"N 44°41'45.00"E	20	5	წრიული	_

შენიშვნა 1: გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500 მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ). ასევე ქსელის

ფორმირებისას გადამცემის სიმძლავრის და ანტენის ტექნიკური პარამეტრების მნიშვნელობების ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

კომისია აღნიშნავს რომ ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მიმდინარეობდა 2022 წლის 4 ივლისის 17:00 საათამდე. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობაზე კომისიაში არცერთი განაცხადი არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ ჩაშლილად უნდა გამოცხადდეს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში, კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10/231 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პ) ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ჩაშლილად გამოცხადდეს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა №3-ში, კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად, კომისიის 2022 წლის 24 მაისის №გ-22-10/231 გადაწყვეტილებით გამოცხადებული კონკურსი;
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის სხდომაზე გამოქვეყნებისთანავე;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი